

იუჩი რიქოვანი



ისევ დოკუმენტები ცხადყოფენ

იუკი რიპოვანი



ისევ ღოჭუბენსები სსაღყოვენ
(ღავითიუვილთა ღა ზაბკასიონ-ღავითიუვილთა უესახებ)

თბილისი
2018

UDC (უაკ) 929.5 (479.22)
ჩ-697

2016 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით „ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, ავტორი – „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი იოსებ ბიჭიკაშვილი. აღნიშნული წიგნის თანდართული ტაბულებიდან მე-16 მთლიანად ეძღვნება აზნაურ დავითიშვილებს და აქ ისინი როგორც ტაბულის, ისე კომენტარების და ბიბლიოგრაფიის დასათაურებაში მოხსენიებული არიან აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად, როგორც თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ – დავითიშვილის შთამომავლები. წიგნის ავტორის მიერ მითითებული წყაროების შესწავლის შედეგად ვერ დასტურდება, რომ მე-16 ტაბულაში მოხსენიებული დავითიშვილები ნამდვილად არიან დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შთამომავლები და, შესაბამისად, ბაგრატიონ-დავითიშვილები. მოცემულ ნაშრომში, საისტორიო და საარქივო მონაცემების საილუსტრაციო ფოტოების მოშველიებით, განხილულია ეს თემა.

ავტორის ტექსტი გამოსაცემად
მომზადა და რედაქცია გაუკეთა

ზეინაბ ლომჯარიამ

იურუდიული კონსულტანტი

ალექსანდრე ამაშუკელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ირაკლი ბელთაძე

ტექნიკური რედაქტორი

ირინა კვიციანი

**პუბლიკაცია მომზადდა და დაისტამბა საქართველოს
თავად-აზნაურთა საკრებულოს თანადგომით**

ISBN 978-9941-480-01-0

შესავალი

მათთვის, ვინც ადევნებდა თვალს გრიგოლ მაღალნიას სახელზე გაცემულ ცნობასთან დაკავშირებით (დოკუმენტი №5, 20.01.2015 წ.) ჩემს დავას „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელ იოსებ ბიჭიკაშვილთან და ვინც გაეცნო 2017 წელს ჩემი ავტორობით გამოქვეყნებულ შრომას სახელწოდებით „დოკუმენტები ცხადყოფენ“ (იხ., ასევე ბმული http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/215619/1/Dokumentebi_Cxadyofen.pdf), ცნობილია შემდეგი: 2015 წლის სექტემბერში ერთი დოკუმენტის (№5, 20.01.2015 წ.) ასლის შემთხვევით ნახვისთანავე საჯაროდ გამოვთქვი პროტესტი მასზე დატანილი ჩემი ხელმოწერის გამო, ვინაიდან დოკუმენტში ასახული ფაქტი სრულიად უცნობი იყო ჩემთვის. ამის შემდეგ გადავწყვიტე კვლევის ჩატარება და დავადგინე, რომ „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბლანკზე ჩემი სახელით გაცემულ ამ ცნობაში და თანდართულ გენეალოგიურ ფრაგმენტში დაფიქსირებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოსდა გრიგოლ გრიგოლის ძე მაღალნიას (ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ასულის, ანას პირველი მეუღლე), არის მეფე გიორგი XII-ს შთამომავალი ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავის ხაზით – **არ ასახავს** რეალობას. უფრო მეტიც, ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ელისაბედ გიორგის ასულ ერისთავის და, შესაბამისად გიორგი XII-ს ნამდვილი შთამომავლები: **ნაკაშიძეები** და არა მაღალნიები. ზემოთთქმულის საფუძველზე აღნიშნული დოკუმენტი (№5, 20.01.2015 წ.) გამოვაცხადე იურიდიული ძალის არმქონედ და ინფორმაცია ამის თაობაზე გავავრცელე (ჯერ კიდევ ზემოთ ნახსენები შრომის გამოქვეყნებამდე) ფეისბუქით (28.11.2016) და შემდეგ, უკვე, ჩემს მიერ ხელმოწერილი და „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბლანკზე ბეჭდით დამონმებული ოფიციალური განცხადების სახით, [იხ. განცხადება №8 (195), 20.12.2016 წ., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29.12.2016].

გრიგოლ მაღალნიას სახელზე გაცემული ამ დოკუმენტით (№5, 20.01.2015 წ.) ილუსტრირებული გენეალოგიური ფრაგმენტი შედგენილია (მისივე ინფორმაციით) ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“

თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, რიგ გამოცემებში ჩემი თანაავტორის, „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ. იმის გამო, რომ ეს ფრაგმენტი აცდენილია რეალობას, თავისთავად აღმეძრა ეჭვი – ხომ არ ჰქონდა მსგავს ქმედებას ადგილი სხვა შემთხვევაშიც. ამ მიზნით გადავწყვიტე გადამემოწმებინა იმ კვლევის შედეგი, რომელსაც ი. ბიჭიკაშვილი, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიის და გენეალოგიის მკვლევარი და „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი, ატარებდა ჩემივე თხოვნით. კვლევა შეეხებოდა ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადურ შტოსთან აზნაური დავითიშვილების შესაძლო კავშირს. ამ თემაზე ი. ბიჭიკაშვილის მიერ მონოდებულ დასკვნას, იმ დროისთვის მისდამი ჩემი ნდობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, გადაუმოწმებლად დავეთანხმე.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი, როგორც გენეალოგიის მკვლევარის მიერ შესწავლილი 110-ზე მეტი გვარიდან ბაგრატიონები იყო ის ერთადერთი გვარი, რომლის გენეალოგიის შედგენაზეც 1993 წლიდან 2015 წლის აგვისტომდე მუდმივად ვთანამშრომლობდით ი. ბიჭიკაშვილი და მე. 1984-დან 1993 წლამდე და 2015 წლის აგვისტოს შემდეგ კი ამ გვარის გენეალოგიას სრულიად დამოუკიდებლად ვადგენდი და ახლაც ვადგენ, ისე როგორც დანარჩენებისას 1993 წლამდე და მის შემდეგაც, დღემდე. ბაგრატიონების გარდა სხვა გვარების გენეალოგიის შედგენისას ცალკეულ ეპიზოდებში ი. ბიჭიკაშვილის მონაწილეობა ყველა გამოცემაში ფიქსირდებოდა მისი გვარის მითითებით. ბაგრატიონების გვართან დაკავშირებით ვენდობოდი ი. ბიჭიკაშვილის დასკვნებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ იგი ხელმძღვანელობდა „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიულ განყოფილებას, 1990-იანი წლებიდან იკვლევდა ბაგრატიონთა გვარის ისტორია-გენეალოგიას, მის მონაცემებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი და მეც მის მიერ მონოდებულ ახალ ინფორმაციას, კონკრეტულად ბაგრატიონთა გვარის შესახებ, ვლებულობდი, როგორც ფაქტს. 2013 წელსაც ასე ვენდე მის დასკვნას აზნაურ დავითიშვილების თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან წარმომავლობის თაობაზე. მაშინ არც კი მიფიქრია „ბაგრატიონთა სახლის“ ნდობით აღჭურვილი პირის, ამ სახლის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ ბაგრატიონებისავე გვარის ისტორიულ კვლევაში ეჭვის შეტანა. რომ არა ი. ბიჭიკაშვილის მიერ გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის შესახებ დანერგილი ისტორიული ცნობის უსაფუძვლობა, წარსულში ი. ბიჭიკაშვილისადმი ჩემი ნდობიდან გამომდინარე, შესაძლოა ბაგრა-

ტიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ გადამოწმებინა, მაგრამ გრიგოლ მაღალიას სახელზე გაცემულმა ცნობამ მიბიძგა ამისკენ. გადამოწმების საშუალება კი მომცა იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ 2016 წელს გამოცემულმა ნაშრომმა „ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ამ გადამოწმების შედეგები.

დავითიშვილთა და ბაგრატიონ-დავითიშვილთა შესახებ

2016 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით „ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, ავტორი – „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი იოსებ ბიჭიკაშვილი. აღნიშნული წიგნის თანდართული ტაბულებიდან მე-16 მთლიანად ეძღვნება აზნაურ დავითიშვილებს და აქ ისინი როგორც ტაბულის, ისე კომენტარების და ბიბლიოგრაფიის დასათაურებაში მოხსენიებულ არიან აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად (წიგნის 259 და 263 გვ.). ამას ი. ბიჭიკაშვილი ასაბუთებს იმით, რომ ვინმე აზნაური იესე დავითიშვილი (ტაბულაში №2/1), თითქოსდა, არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი, დასტურად კი მოხმობილი აქვს შემდეგი წყაროები და ლიტერატურა:

- 1) „საქართველოს სიძველენი“, ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 348.
- 2) ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1985, გვ. 633.
- 3) ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი).
- 4) დ. ნინიძე. „აქა ამბავი თვალდამწვრიანთა“. თბ., 1999, გვ. 68.

გულდასმით შევისწავლე ავტორის მიერ მითითებული წყაროების შესაბამისი გვერდები, რა თქმა უნდა ს. ბიჭიკაშვილის ხელნაწერის გარდა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც გენეალოგიის ნებისმიერი ხელნაწერი, ისედაც შედგენილი უნდა იყოს საისტორიო და სარქივო მასალების ან ოჯახების მონაცემების საფუძველზე.

გავეცნოთ ი. ბიჭიკაშვილის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი წყაროების შესაბამის გვერდებს:

- 1) „საქართველოს სიძველენი“, ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 348. (იხ. დანართი I, ამ ნაშრომის გვ. 18).

როგორც დანართი I-დან ჩანს, აღნიშნულ გვერდზე ხსენებაც კი არ არის: 1) არც ერთი დავითიშვილის 2) არც დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის და 3) არც იმის, რომ დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ძე – იესე. მაშ რად იყო საჭირო ამ წყაროს დასახელება დასტურად იმისა, რომ სწორედ თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილისგან მოდიან აზნაური ბაგრატიონ-დავითიშვილები, როგორც, ვითომდა ამ დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟის, იესეს შთამომავლები? ეს არ არის რიტორიკული შეკითხვა!

2) „ქართული სამართლის ძეგლები“. ტ.VIII. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი.დოლიძემ. თბ.,1985, გვ.633. (იხ. დანართი II, ამ ნაშრომის გვ. 19).

როგორც დანართი II-დან ჩანს, ი.ბიჭიკაშვილის მიერ მითითებული ამ წყაროს აღნიშნულ გვერდზე (633) წარმოდგენილია ვარძიელაშვილი ლაზარეს არზა, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ ლაზარეს მამას „ქისიყში“ კაცი შემოკვდომია, რის შემდგომაც იქიდან აყრილა და ქართლში შეხიზნებია „დავითიშვილს ჩელტია იასეს“. შემდეგი აზნაურიდან კი ვიგებთ, რომ ნახსენებ დავითიშვილ იასეს (ვარიანტი: იესეს) ჰყოლია ვაჟი, სახელად გლახა. ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ ტაბულა 16-ში იესეს (№2/1 მე-16 ტაბულაში) ჰყავს ვაჟი, სახელად გლახა (იმავე ტაბულაში №3/2), რომელსაც მითითებული აქვს მეორე სახელი – დავითი. ავტორის მიერ წყაროდ მოხმობილი წიგნის 633-ე გვერდზე ეს გლახა, იესეს (იასეს) ვაჟი მოხესენიებულია მხოლოდ ამ სახელით, მეორე სახელის, დავითის გარეშე. მაგრამ ამას არ აქვს, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა. იესე დავითიშვილს, როგორც ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი მე-16 ტაბულის, ისე მითითებული წყაროს მიხედვით, ნამდვილად ჰყავს ვაჟი, სახელად გლახა. საინტერესო მხოლოდ ის არის, შეგვიძლია, თუ არა, აღნიშნული წყაროს საფუძველზე, დავასკვნათ, რომ თვით იესე დავითიშვილი არის კონკრეტულად თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი და, შესაბამისად – შეიძლება, თუ არა იგი მივაკუთვნოთ ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა – არიან, თუ არა ხსენებული იესეს შთამომავლები ბაგრატიონ-დავითიშვილები. როგორც მითითებული წყაროს ამ გვერდიდანაც (დანართი II) ჩანს, არსად არის მტკიცებულება იმისა, რომ ეს ასეა. უფრო მეტიც: ხსენებაც კი არ არის თავადი

დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის და მით უმეტეს იმისა, რომ მას ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე. ისევ ვაწყდებით ფაქტს, როდესაც ი.ბიჭიკაშვილის მიერ დასახელებული წყარო ვერ უპასუხებს პრობლემას – მოდიან, თუ არა ტაბულა 16-ში ჩამოთვლილი დავითიშვილები ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან, კერძოდ, იმ იესესგან, რომელიც, თითქოსდა, არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი. მაშ, ისევ, რად ასახელებს ი. ბიჭიკაშვილი მოცემულ წყაროს მტკიცებულებად?

4) დ. ნინიძე. „აქა ამბავი თვალდამწვრიანთა“. თბ., 1999, გვ.68. (იხ. დანართი III, ამ ნაშრომის გვ. 20).

დანართი III-დან ვიგებთ, რომ იოანე ბატონიშვილის სიტყვებით ქართლში მცხოვრები აზნაური დავითიშვილების შთამომავალნი არიან „თავადის დავითიშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ“. აქვე, დასახელებული წყაროს ავტორი, დ.ნინიძე თავად დასძენს, რომ 1783 წ.ტრაქტატს დართულ თავადთა და აზნაურთა ნუსხაში მოხსენიებულ „სახასო აზნაურთა“ შორისაა „აზნაურნი დავითისშვილი“, ხოლო შემდგომ გვამცნობს: „იოანე ბატონიშვილის ეს მოსაზრება ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილების ნათესაობის შესახებ მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევას ემყარება. სინამდვილეში არავითარი ისტორიული ცნობა, რომ ისინი ერთმანეთის „მონათესავენი“ არიან, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არ დასტურდება“ (გვ.68).

მე კი დავსძენ: იოანე ბატონიშვილის მოსაზრება ზოგადად აზნაური დავითიშვილების და თავადი დავითიშვილების (ბაგრატიონ-დავითიშვილების) ნათესაობის შესახებ რომც ყოფილიყო დასაბუთებული, განა ეს ნიშნავს, რომ ყველა დავითიშვილი ამ კატეგორიაში ავტომატურად მოხვდებოდა? ეს ზოგადი დებულება გამოდგებოდა კი იმის მტკიცებულებად, რომ იესე (№2/1 ტაბულა 16-ში) ნამდვილად არის კონკრეტულად თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი? და გვარად ბაგრატიონ-დავითიშვილი? ხოლო იესეს შთამომავლები (ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი მე-16 ტაბულიდან) ასევე ბაგრატიონ-დავითიშვილები? არც ეს კითხვებია რიტორიკული!

დავუბრუნდები დ.ნინიძის ნაშრომს „აქა ამბავი თვალდამწვრიანთა“ (თბ., 1999, გვ.68.), რომელიც ი.ბიჭიკაშვილს მოხმობილი აქვს, როგორც თა-

ვადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის (კერძოდ, თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილად იესეს დასახელების) დამადასტურებელი ერთ-ერთი წყარო. როგორც ჩანს დანართი III-დან, დ.ნინიძე, წყაროებზე დაყრდნობით, გვთავაზობს აზნაურ დავით დავითიშვილის გენეალოგიურ ფრაგმენტს, რომელშიც ფიგურირებს იესე დავითის ძე დავითიშვილი. დ.ნინიძის მიერ შემოთავაზებული გენეალოგიური ფრაგმენტიდან ჩანს, რომ აქ სახელი იესე, მისი მამის სახელი დავითი და მისივე შვილის სახელი-გლახა, გენეალოგიურ ბმაში ემთხვევა ი.ბიჭიკაშვილის მიერ ტაბულა 16-ში შეყვანილი იესეს (№2/1), მისი მამის, დავითის (№1) და მისივე შვილის, გლახას (№3/2) სახელებს, ისევე გლახას მეორე სახელის-დავითის გარეშე, რომელიც მოხსენიებული აქვს ი.ბიჭიკაშვილს ტაბულაში, მაგრამ ეს ისევე არ არის მთავარი. მთავარი განსახვავება დ.ნინიძის მიერ დანართი III-ით ილუსტრირებულ გენეალოგიურ ფრაგმენტსა და ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი მე-16 ტაბულის ამავე სახით წარმოდგენილ გენეალოგიურ ჯგუფს შორის არის ის, რომ დავით ნინიძე იესეს მამად ასახელებს **აზნაურ** დავით დავითიშვილს და **არა თავადს**, დავით ელიზბარის ძე დავითიშვილს (ბაგრატიონ-დავითიშვილს), მაშინ როდესაც ი.ბიჭიკაშვილი იესეს (№2/1) მამად თვლის არა აზნაურ დავით დავითიშვილს, არამედ კონკრეტულად თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს, შემდგომ კი ამის საფუძველზე იესეს (როგორც თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟის) შთამომავლობაც ჩათვლილი ჰყავს არა უბრალოდ აზნაურ დავითიშვილებად, არამედ აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად. ი.ბიჭიკაშვილის მიერ წყაროდ დასახელებული წიგნის ავტორი, დავით ნინიძე, გაგვაცნობს რა გლახას, მისი მამის იესეს და პაპის-დავითის, გენეალოგიურ ფრაგმენტს (დანართი III), ასრულებს აზრს შემდეგი წინადადებით: „**ისინი (დავითი, მისი შვილები-იორამ, იესე, ქრისტეფორე და შვილიშვილი გლახა ი.ჩ.) აზნაური დავითიშვილები არიან და მათ თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან არაფერი აქვთ საერთო**“.

აქ კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ ვაწყდებით ფაქტს, როდესაც ი.ბიჭიკაშვილის მიერ მტკიცებულებად მოტანილი ეს წყაროც ვერანაირად ვერ ამტკიცებს აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობას თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილისგან. უფრო მეტიც, **აღნიშნული წყაროს ავტორი დ. ნინიძე პირიქით, უარყოფს ამ ვერსიას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებულ აზნაურ დავითიშვილებს არაფერი აქვთ საერთო ბაგრა-**

ტიონ-დავითიშვილებთან. მაშ, რისთვის მოაქვს ი. ბიჭიკაშვილს დ. ნინიძის ეს ნაშრომიც თავისი ვერსიის, კერძოდ იმის მტკიცეულებად, რომ აზნაური იესე დავითიშვილი არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი? წყაროს ავტორი ხომ სრულიად საპირისპირო აზრს გამოთქვამს? რასთან გვაქვს საქმე? კიდევ ერთი არარიტორიკული შეკითხვა!

ამრიგად, ი. ბიჭიკაშვილის მიერ დასახელებული წყაროებიდან ვერცერთმა ვერ მომცა საშუალება გამეკეთებინა დასკვნა, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ნამდვილად ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე, რომელიც ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი ტაბულა 16-ის თანახმად (ნიგნიდან "ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია") სათავეს უნდა უდებდეს ამავე ტაბულაში აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად მოხსენიებულ პირთა მთელ წყებას (107 პირს!).

ეს არ ნიშნავს ჩემი მხრიდან იმის მტკიცებას, რომ დავითიშვილები ნამდვილად არ არიან ბაგრატიონ-დავითიშვილები, პირიქით, არ გამოვრიცხავ, რომ აზნაური დავითიშვილები (თუ ყველა არა, გარკვეული განშტოებები მაინც) მართლაც წარმოდგებიან დავითიშვილების თავადური განშტოებიდან (ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან). მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ აღნიშნული ნიგნის ავტორის, ი. ბიჭიკაშვილის მიერ მტკიცეულებად მოტანილი წყაროებიდან (თუ, რა თქმა უნდა, არ არის რაიმე მექანიკური შეცდომა დაშვებული წყაროების ჩამოთვლისას), ვერცერთში ვერ ვიპოვნე ამის დამადასტურებელი საბუთი. სწორედ ამიტომ გამომაქვს ამ წყაროების ასლები, დანართების სახით, სააშკარაოზე, რათა მკითხველმა (განსაკუთრებით ისტორიკოსებმა) გააკეთოს დასკვნა: ი. ბიჭიკაშვილის მიერ მტკიცეულებად დასახელებული წყაროების მიხედვით – ჰყავდა, თუ არა თავადს, დავით ელიზბარის ძე დავითიშვილს (ბაგრატიონ-დავითიშვილს) და არა აზნაურ დავით დავითიშვილს (ეს არ არის სადაო) ძე – იესე, რომელიც, მე-16 ტაბულის მიხედვით, საფუძველს უნდა უდებდეს აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილთა შტოს. პირადად მე ეს დასკვნა, აღნიშნული წყაროების საფუძველზე, ვერ გავაკეთე.

ამით შეიძლება დამესრულებინა აღნიშნული ნაშრომი, ვინაიდან იმ წყაროების საფუძველზე, რომელიც მოხმობილია ი. ბიჭიკაშვილის მიერ, ვერ დასტურდება მოსაზრება, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე. თუ ვერ მტკიცდება ტაბულა 16-ის პირველივე მონაცემი იმის შესახებ, რომ იესე დავითიშვილი (ტაბულაში №2/1) არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი, მაშასადამე

ვერც იმ დასკვნას გავაკეთებ, რომ ამ ტაბულაში შემავალი სხვა ფიგურანტები (თვით იესეს შთამომავლები: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ.) არიან დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შთამომავლები ანუ ბაგრატიონ-დავითიშვილები. ამდენად, ზემოთნახსენები წიგნის ავტორის მიერ, მითითებული წყაროების საფუძველზე, მე-16 ტაბულაში შეყვანილ პირთა მიკუთვნება ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულოსთან არ მიმაჩნია მართებულად.

შეიძლებოდა აღარ გამეგრძელებინა გადამოწმება, მაგრამ მაინც გადავწყვიტე შემესწავლა იესე დავითის ძის შთამომავლების ჩამონათვალში ავტორის მიერ მითითებული დანარჩენი წყაროებიც. პირველ რიგში გადავშალე ზ.ჭუმბურიძის რედაქციით გამოცემული „ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, (ფოტოტიპირი გამოცემა), თბ., 2005. აღნიშნული წიგნის 128-ე გვერდი მითითებულია, როგორც, მე-16 ტაბულაში რამდენიმე ფიგურანტის კუთვნილი ადგილის, მტკიცებულება. ამ წყაროს განხილვით თავს არ შეგანწყენთ. იგი ილუსტრირებულია დანართი IV-ით (ამ ნაშრომის გვ. 21), წიგნის 128-ე და 129-ე გვერდების სახით. ვხედავთ, რომ ამ გვერდებზე მოხსენიებულია აზნაურ დავითიშვილთა (Давидовы) და არა ბაგრატიონ-დავითიშვილთა მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები.

ამის შემდეგ დავუბრუნდი წიგნს „ქართული სამართლის ძეგლები“ (ქ.ს.ძ. – ი.ჩ.) ტ.VIII. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი.დოლიძემ. თბ., 1985. ამ წიგნის 53-ე, 74-ე, 356-ე, 369-ე და 663-ე გვერდები მოხმობილია, როგორც ამა თუ იმ პირის, იმავე მე-16 ტაბულაში, კუთვნილი ადგილის დამადასტურებელი წყარო. წიგნის აღნიშნული გვერდების შესწავლის შედეგი ასეთია:

53-ე და 74-ე გვერდებზე იხსენიება ვინმე დავითიშვილი ასლამაზ, მამის სახელის გარეშე.

356-ე და 369-ე, გვერდებზე მოხსენიებულია დავითიშვილი გლახა, მამის (უნდა ვიგულისხმოთ-იესე?) სახელის და, ასევე, იმ მეორე სახელის – დავითის გარეშე, რომელსაც გვთავაზობს ი.ბიჭიკაშვილი გლახას მეორე სახელად (№3/2 მე-16 ტაბულაში).

არც 53-ე, არც 74-ე, არც 356-ე და არც 369-ე გვერდზე არ არის მოხსენიებული არცერთი დავითიშვილი რომელიმე თავადური შტოს დავითიშვილთან (ბაგრატიონ-დავითიშვილთან) ნათესაური კავშირის მქონე აზნაურ დავითიშვილად.

რაც შეეხება გლახა იესეს ძე დავითიშვილთან (№3/2 მე-16 ნუსხაში) წყაროდ დასახელებული წიგნის (ქ.ს.ძ.) 663-ე გვერდს, აქ ერთი დავითიშვილიც

არ არის ნახსენები, მითუმეტეს – გლახა (იხ. დანართი V, ამ ნაშრომის გვ. 22), ბაგრატიონ-დავითიშვილებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია (ისევე, თუ არ არის დაშვებული მექანიკური შეცდომა წყაროს დასახელებისას). **მაშ, რად იყო საჭირო ი. ბიჭიკაშვილის მიერ ამ წყაროს აღნიშნული გვერდის (663) დასახელება გენეალოგიურ ტაბულაში გლახა დავითიშვილის მოცემულ ადგილზე განთავსების მტკიცებულებად? უკვე მერამდენე არარიტორიკული შეკითხვა!**

ახლა ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოხმობილი შემდეგი წყაროს შესახებ: **«Список князей и дворян Грузии». Спб., №564, №565 და №566.** მისი მონაცემები იგივეა, რაც დანართი IV-ით წარმოდგენილი და ზემოთ უკვე ნახსენები, ზ.ჭუმბურიძის რედაქტორობით გამოცემული ნიგნის „ქართლ-კახეთის თავადა და აზნაურთა ოჯახები“ 128-129 გვერდებზე ილუსტრირებული №564, №565 და №566.

შემდეგი ეტაპი იყო იმ საარქივო ჩანაწერების შესწავლა, რომელიც მითითებული აქვს წყაროებად ი.ბიჭიკაშვილს იესეს (№2/1 მე-16 ნუსხაში) შემდეგ ჩამოთვლილი პიროვნებების გენეალოგიის შესადგენად. ეს საარქივო ჩანაწერები კი მესაჭიროებოდა მათ შესახებ, ვინც დაბადებულია იმ დრომდე, როდესაც იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა (1917 წ.), მისი კანცელარია გაუქმდა და ასევე გაუქმდა იმპერატორის მიერვე დამტკიცებული ნოდებრივი კუთვნილებაც (თავადი, აზნაური). ასეთები კი ფიგურირებს ამ ტაბულაში №3-დან №26-მდე. მათი სახელების ქვემოთ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩამოთვლილი საარქივო წყაროებიდან შევძელი იმ უმრავლესი ნაწილის დამუშავება, რომელიც, სამუშაო მდგომარეობიდან გამომდინარე, მოწოდებულ იქნა ცენტრალურ საისტორიო არქივში. ეს საქმეებია:

ფონდი 489, აღწერა 18. საქმეები: 34, 140, 156, 185, 242, 556, 657, 768, 778, 935, 988, 1327, 1531, 1758, 1759, 1760, 1761, 1764, 1765, 1766, 1767, 1768, 1769, 1772, 1774, 1776, 1780, 1799, 1824, 1880, 1896.

ფონდი 213, აღწერა 1. საქმე 2128 (1850 წ.), «Список князьям и дворянам Грузии» („სია ქართველ თავად-აზნაურთა“).

ფონდი 1448, აღწერა 1. საქმეები: 1263, 2582, 7456.

სოლიდური მოცულობის საარქივო მასალების შესწავლის შედეგი არც თუ სახარბიელო აღმოჩნდა.

ერთ მათგანში, კერძოდ: ფონდი 213-ის, აღწერა 1, საქმე 2128-ში («Список князьям и дворянам Грузии» – „სია ქართველ თავად-აზნაურთა“ 1850 წ.) მოხსენიებულია ცალკეული აზნაური დავითიშვილი (დავიდოვი), იგივე ნომ-

რით (564-დან 569-ის ჩათვლით), რაც ზემოთ უკვე განხილულ წყაროში „ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“ (ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), რომლის 128-129 გვერდები, აზნაურ დავითიშვილების ამავე ნუმერაციით, ილუსტრირებულია IV დანართით (ამ ნაშრომის გვ. 21).

დანარჩენ საქმეებშიც ვერ წავანყდი ფაქტს იმის შესახებ, რომ რომელიმე პიროვნება მოხსენიებული ყოფილიყო თავად დავითიშვილებთან (ბაგრატიონ-დავითიშვილებთან) მამაკაცის ხაზით ნათესაურ კავშირში მყოფ აზნაურ დავითიშვილად. ვხვდებოდი, მხოლოდ, ცალკეული დავითიშვილის (ვარიანტი-დავიდოვი) ხსენებას. მითითებული საარქივო საქმეების ნაწილში კი დასახელებულიც არ იყო რომელიმე დავითიშვილი, არა თუ ბაგრატიონ-დავითიშვილი.

რაც შეეხება მე-16 ტაბულის იმ პირთა გენეალოგიას, რომლებიც დაბადებული არიან 1917 წლის შემდეგ (ნუსხაში №26/19-დან №108/83-ის ჩათვლით), მათ შესახებ ვერაფერს ვიტყვი და არც ვთვლი საჭიროდ, ვინაიდან ეს არ შეადგენს ჩემი ანალიზის საგანს, თუნდაც იმიტომ, რომ მათი სახელების ქვემოთ წყაროებად ჩამოთვლილია დაბადების, გარდაცვალების ან ქორწინების ის მოწმობები, რომლებიც ოჯახების საკუთრებაა, **ალარაფერს ვამბობ გენეალოგიურ ტაბულაში შემავალ იმ პიროვნებებზე, რომელთათვისაც ნუსხაში კუთვნილი ადგილის მინიჭების დასტურად, ბიბლიოგრაფიაში, ერთადერთ წყაროდ დასახელებულია ს.ბიჭიკაშვილის (ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, თვით წიგნის ავტორის?) ხელნაწერი.** თანაც ეს უკვე არ წყვეტს პრობლემას – წარმოდგებიან, თუ არა ისინი თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილისგან. ეს საკითხი უკვე გადაწყვიტა დასაწყისშივე ჩატარებულმა ანალიზმა და მის შედეგად მიღებულმა დასკვნამ: **აზნაურ იესე დავითის ძე დავითიშვილისთვის, როგორც, თითქოსდა, თავადის, დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟისთვის, მე-16 ტაბულაში №2/1 ადგილის მინიჭების საფუძველი, ი.ბიჭიკაშვილის მიერ დასახელებულ წყაროებზე დაყრდნობით, ვერ იძებნება.** აქედან გამომდინარე, ამ წყაროების მიხედვით: თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილისგან (ბაგრატიონ-დავითიშვილისგან) აზნაურ იესე დავითიშვილის და მისი, ამავე ტაბულით წარმოდგენილი, შთამომავლების წარმომავლობა ვერ მტკიცდება.

ამის შემდეგ, უკვე პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით, გადავწყვიტე არქივის იმ ფონდის შეწავლა, სადაც შესაძლებელი იყო მომეპოვებინა რაიმე დამატებითი ინფორმაცია აზნაურ დავითიშვილების შესახებ. ამ მიზნით შევისწავლე ცენტრალური საისტორიო არქივის

ფონდი 213-ის, ანაწერი 1, საქმე 1990 – „**О признании въ дворянскомъ достоинстве рода Ивана и Димитрия Давидовыхъ**“. 18 декабря 1820 - 30 марта 1915.

შედეგი იგივეა. არსად არის მინიშნებაც კი, რომ რომელიმე აზნაური დავითიშვილი მოხსენიებულ იყოს ბაგრატიონებთან (ბაგრატიონ-დავითიშვილებთან) რაიმე ნათესაურ კავშირში. ბუნებრივად ისმის შეკითხვა – აზნაურ დავითიშვილებთან დაკავშირებულ ამ საარქივო მასალაში, რომელიც მოიცავს დროის საკმაოდ დიდ პერიოდს, 1820 წლის 18 დეკემბრიდან 1915 წლის 30 მარტამდე, არცერთი აზნაური დავითიშვილი რატომ არ ახსენებს თავადი დავითიშვილებისგან (ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან) წარმომავლობას, თუკი მისთვის რაიმეა ცნობილი ამის შესახებ? ამ საარქივო საქმეში ხომ ყველა მათგანი, მათ შორის საკმაოდ შორეული ნათესავიც კი მოხსენიებულია უბრალოდ აზნაურ დავითიშვილად (დავიდოვად).

ამრიგად, საარქივო მასალების შესწავლის შედეგადაც ვერ წავაწყდი არა თუ ფაქტს იმის შესახებ, რომ რომელიმე აზნაური დავითიშვილი მოხსენიებული ყოფილიყო, როგორც შთამომავალი რომელიმე ბაგრატიონისა (თავადი დავითიშვილისა), არამედ ვერ აღმოვაჩინე მამა-შვილობის დამადასტურებელი ისეთი ჩანაწერების თანმიმდევრობაც კი, რომელიც საშუალებას მომცემდა შემედგინა გენეალოგია იმ სახით ანუ იმ ბმით, რომელიც ილუსტრირებული აქვს ი.ბიჭიკაშვილს წიგნის თანდართული ტაბულა 16-ის სახით. ჩემი ინიციატივით დამუშავებულ საარქივო საქმეში [ფონდი 213, ანაწერი 1, საქმე 1990 „О признании въ дворянскомъ достоинстве рода Ивана и Димитрия Давидовыхъ“. 18 декабря 1820 – 30 марта 1915] მოვიპოვე, მხოლოდ, აზნაურ დავითიშვილთა, მაგრამ არა თავადი დავითიშვილების (ბაგრატიონ-დავითიშვილების), შთამომავლების გენეალოგიური ფრაგმენტები, შედგენილი და ხელმოწერილი აზნაურ ივანე (იოანე) და დიმიტრი დავიდოვების (დავითიშვილების) მიერ (იხ.დანართი VI და VII, ამ ნაშრომის გვ. 23 და 24). აზნაურ დავითიშვილთა ერთ-ერთი შტოს VI დანართით ილუსტრირებული გენეალოგიური ფრაგმენტის მარჯვნივ ჩანაწერიდან ჩანს, რომ 1783 წლის ტრაქტატს თანდართულ სიებში ჩამოთვლილ გვართა შორისაა აზნაური დავითიშვილი (რუსული ვარიანტით – დავიდოვი). დანართი VI და VII-ით ილუსტრირებულ გენეალოგიურ ფრაგმენტში მოხსენიებული პირველივე პიროვნება, აზნაური დავით დავითიშვილი (დავიდოვი), მიახლოებითი გამოთვლის მიხედვით, დაბადებული უნდა იყოს მე-17 საუკუნის 80-90-იან წლებსა და მე-18 საუკუნის 20-იან წლებს შორის და რომელიმე ბაგრატიონთან

მისი რაიმე ნათესაური კავშირის შესახებ არაფერია ნათქვამი მისივე შთამომავლების, ამ გენეალოგიის ხელმომწერი (დანართი VII) ივანე (იოანე) და დიმიტრი დავითიშვილების (დავიდოვების) მიერ.

ამრიგად, ამ ეტაპზე ვერ მივაკვლიე თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ ვერანაირ მტკიცებულებას. ი.ბიჭიკაშვილის მიერ წყაროებად დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურის და სოლიდური მოცულობის საარქივო მასალების შესწავლამ ვერ გამოავლინა ვერცერთი აზნაური დავითიშვილი, რომელიც წყაროში წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც რომელიმე თავადი დავითიშვილის (ბაგრატიონ-დავითიშვილის) შთამომავალი (მამაკაცის ხაზით). ამდენად, ჩემთვის სრულიად გაუგებარია - რის საფუძველზე და, რაც მთავარია - რა მიზნით გადაწყდა ასეთი დიდი რაოდენობის დავითიშვილთა ბაგრატიონ-დავითიშვილის გვარისადმი მიკუთვნება და ბაგრატიონთა საგვარეულო წიგნში ამდენი (107) ფიგურანტისგან შემდგარი მთელი ერთი, მე-16 ტაბულის გამოყოფა მათთვის.

კიდევ ერთხელ და ხაზგასმით აღვნიშნავ: არ ვარ კატეგორიული დასკვნაში და არ ვამტკიცებ, რომ ზემოაღნიშნულ ტაბულაში მოხსენიებული პირები ნამდვილად არ მიეკუთვნებიან ბაგრატიონ-დავითიშვილთა საგვარეულოს. გარკვეული ალბათობით ვუშვებ კიდევ აზნაურ დავითიშვილების (გარკვეული ნაწილის მაინც) წარმომავლობას ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან. ამ ნაშრომით კი იმის თქმა მსურს, რომ მხოლოდ წიგნის - "ბაგრატიონები - საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია" - ავტორის, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ მტკიცებულებად მოხმობილი წყაროების და თავად ჩემს მიერ ამ ეტაპისთვის შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე ვერ მტკიცდება დავითიშვილებსა და ბაგრატიონ-დავითიშვილებს შორის რაიმე ნათესაური კავშირი, რაც მომავალში, დამატებითი მტკიცებულებების (საარქივო და სხვა საბუთების) მოძიებით შესაძლოა გამოვლინდეს. ამას დრო სჭირდება და არც თუ მცირე. მანამდე კი, ჩემი აზრით, არსებობს მარტივი გამოსავალი: ზემოაღნიშნული წიგნის მე-16 ტაბულაში მოხსენიებულ ჩვენს თანამედროვეებს შეუძლიათ ჩაიტარონ გენეტიკური ანალიზი („დნმ“ - ტესტი), რომლის პასუხით დადგინდება - მომდინარეობს, თუ არა მათი შტო ბაგრატიონებისგან. დღეს ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს. ასეთი ანალიზი უკვე ჩატარებული აქვს სხვადასხვა შტოს (მათ შორის ბაგრატიონ-დავითიშვილების) წარმომადგენელ რამდენიმე ბაგრატიონს და, შესაბამისად, არსებობს მათი საგვარეულოს ერთგვარი „დნმ-ბანკი“, რომლის მონაცემების შედარება ახალთან, ბევრ შეკითხვაზე გასცემდა პასუხს.

ამდენად, დავუშვი შეცდომა, როდესაც გადაუმონმებლად, გაუმართლებლად წინდაუხედავად ვენდე ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, ამავე სახლის, და არა მარტო მათ მიერ ბაგრატიონთა გვარისავე ისტორია-გენეალოგიის ოფიციალურად აღიარებული მკვლევარის, ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ და წარსულში მისდამი ჩემი ნდობიდან გამომდინარე, 5 წლის წინ, გაუმართლებელი წინდაუხედაობით, გადამონმების გარეშე დავეთანხმე მას იმ კვლევის შედეგებში, რომელიც ჩემივე თხოვნით ჩაატარა. აქედან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიედ, საკუთარი წვლილი შევიტანე ამ მე-16 ტაბულის შექმნაში. მეტი სიფრთხილე რომ გამომეჩინა, ბაგრატიონთა გვარის კვლევის კუთხით ი.ბიჭიკაშვილისადმი ასეთი ნდობა არ მქონოდა და მაშინვე, 2013 წელს ჩამეტარებინა ის სამუშაო, რაც ახლა ჩავატარე ბოლო 7 თვის განმავლობაში, შესაძლოა ეს არ მომხდარიყო. ვაღიარებ ჩემს მიუტევებელ შეცდომას და საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მენდო ამ საკითხში, ვუხდი ბოდიშს.

ბოლოთქმა

ყველაფერი, რასაც შევეხე ამ ნაშრომში, შემოკლებული სახით დატანილ იქნა „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბლანკზე და ჩემს მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული, ოფიციალური განცხადების სახით №2(202) – 05.03.2018 წ. (დანართი VIII, ამ ნაშრომის გვ. 25) გავავრცელე როგორც „ფეისბუქით“ (იხ. ფეისბუქის ჩემი პირადი გვერდი, 2018 წლის 10 აპრილი), ისე მედიის მეშვეობით (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №78(8479), 2018 წლის 17 აპრილი).

ასევე, გავითვალისწინე რა, რომ გრიგოლ მალანიას სახელზე გაცემულ დოკუმენტზე (№5, 20.01.2015 წ.) სრულიად გაუგებარი გზით აღმოჩნდა ჩემი ხელმოწერა, მოხდა ჩემს მიერ დამოწმებული ცნობების იმ ნაწილის გადამოწმება, რომელიც გაიცა 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე ანუ იმ პერიოდში, როდესაც, გარკვეული მოვლენებიდან გამომდინარე, მაქვს ეჭვი, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მსგავს ქმედებას. გადამოწმების შემდეგ ძალაში დავტოვე მხოლოდ ის დოკუმენტები, რომელთა საფუძვლიანობაშიც, გადამოწმების შედეგად დავრწმუნდი. ყველა დანარჩენი კი დავაყენე ეჭვქვეშ მანამ, სანამ არ მოხდება მათი ხელახალი რეგისტრაცია. ამის შესახებაც გავაკეთე ოფიციალური განცხადება №3(203) – 05.03.2018 წ., (დანართი IX, ამ ნაშრომის გვ. 26), რომელიც ასევე გავავრცელე „ფეისბუქით“ (იხ. ჩემი პირადი გვერდი, 2018 წლის 6 მარტი) და მედიით (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №78(8479), 2018 წლის 17 აპრილი).

P.S. მინდა ვიქონიო იმედი, რომ ყველაფერი, რაც იქნა ჩემს მიერ ამ ნაშრომით გამოცემული ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ, იქცევა ისტორიკოსების მხრიდან განსჯის და ანალიზის საგნად და ისინი მოგვანვდიან თავის გადამწყვეტ, კომპეტენტურ დასკვნას. თავისთავად ცხადია, რომ ყველა გვარი თავისებურად ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ საქართველოს ისტორიისთვის ხომ ბაგრატიონთა საგავარეულო – განსაკუთრებულია, რის გამოც მისდამი გამორჩეულად ფრთხილი დამოკიდებულება გვმართებს ყველას. სამწუხაროდ, თავად ვერ გავითავისე ეს ჭეშმარიტება, რამაც მოიტანა ის შედეგი, რომლის თაობაზეც ვსაუბრობ მოცემულ ნაშრომში.

დანართი I

348

საქართველოს

და შეიქმნა თქვენსა ერასტის, ასე რომე საქმე გაგვიჭირდა, თუ-
თრი დაგვეჭირა, მოგედით, შემოგუხვეწებით, თუთრი მოგვეცით და
მოგუიღეთ ჩვენი სამგვიდრო მამული და ადგილი ცხნარსა და ს-
კეტეს, რაც ჩემი წილი და კერძი იყოს, ან ვენაკი, ან მიწა, ან ბა-
ლი, რაც რამიერი იქიური, სულ თქვენთვის მომიყიდნია მათთა,
ბარითა, ვენაკითა, ტუითა, ველითა, წისქვილითა, სწისქვილითა,
საწყლისპირითა, სახნავ-სათესითა, უძებრითა, საძებრითა, სათიბრი-
თა, უთიბრითა, შესავლითა, გასავლითა, მისის სამარტლიანის სამ-
ძღვრითა, ყუელა სრულათ მოგვიყიდნია, ჩვენ თქვენთან არც სხვას
კორციელს ვაცს ამ ჩვენს მოსუიღულს მამულთან კელი არვის არა
აქუს და არცა ვინ გუდაოს, არც ჩვენი ნათესავი, არცა ვინ სხვა. თუ
ვინმე ამისი მოდავე და მოლაშარაკე მოგადგეს, ჰასუსისა და ზირის
მიმტემი ჩვენ ვიყოთ. ივადეთ ფასი სრული და უკლებული, რითაც
ჩვენი გული შეჯერდებოდა. ამისათ გასათავებლათ მოგვიცია თავად
ღთი და უფუელი მისნი წმიდანი, ვაცთავან არის მოწამე: დმანე-
ლი ელისე □*), გოსტაშბისშვილი ამილდაბარ □, თაყაშვილი დე-
მეტრე, აღბაბაღუელი ხალილა, ქავთარიშვილი ედიშერ, ინანაშვილი
სიუშია. მე მგალობელს გიორგის დამიწერია და მოწამეტა ვარ.
ქვს უივ. + +.

ვანის აშიაზე სხვა-და-სხვა ხელით:

ქ. მე ტფილისის სიონთა მდთისშობლის განდელაკი გრიგოლ
ამისი მოწამე +.

ქ. მე ამისი მოწამე სულხან ქეთარიშვილი თათრული.

ქ. ამისი მოწამე თბილელ მიტროპოლიტი, მანგლელი იო-
სებ □.

ქ. ამისი მოწამე იოთამისშვილი თრბული □.

ქ. ამისი მოწამე უარბუდახისშვილი გიორგი.

ქ. ამისი მოწამე აბაშისშვილი ქაიხოსრო +.

ქ. ამისი მოწამე აბაშისშვილი ზაზა +.

301. ნასყიდობის წიგნი იოზ დოლენჯიშვილისა, 18,5×16,7 სან-

*) ბეჭედს ხუცურათ აწერია: „დმანელი“.

„საქართველოს სიძველენი“, ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909,
გვ. 348. ამ გვერდზე არ არის ხსენება არცერთი დავითიშვილის.

დანართი II

ეს მეორე ოქმი მოგვიცია და ასე უნდა იქმნას, როგორც გვიბძა-
ნებია.

შეფე გიორგი

645. არზა ლაზარე ვარძილაშვილისა შაჰის თაოზაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

1800 წ. 30 აპრილი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 223. პირი. ქალაქი. მხედ-
რული. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[164] მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მე-
ფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის ყმის ვარძი-
ლას შვილის ლაზარესაგან.

მე, ჩემო ხელმწიფევე, ქისიყელი გახლავარ. მამაჩემს იქ კაცი
შემოკდომია, აყრილა და ქართლში გხლებია და დავითი შვილს
ხელტია იასეს შე[ე]ხიზნა. ახლა აღარ მიშვებს. მამაჩემი თქვენს
ჭირის სანაცვლო შეიქნა. ორი თბოლი დავრჩით. ჩემი ძმა აქ გორს
სომეხთან დამიგირავა, მეც ასე მძღავრობს და მაწუხებს. მეტი ღონე
არსაითა მაქვს.

სანატრელის ბატონის პაპის თქვენის ოქმიცა მაქვს, რომ ამას
ჩემთან საქმე არა აქს რა. მართალია, ხიზნათ გახლდით იმასთანა, ამის
მეტი დავა არა აქვს რა. ის ისე დავითის შვილიც თქვენის ჭირის სა-
ნაცლო შეიქნა და იმისი შვილი გლახა აღარ მეშვება, [V] ჩემი
ყმა ხარო.

ხუთი სული ხიზანი გახლავართ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ და-
გვკარგავთ. მრავალი ხიზანი კაცი მდგარა ქართლში, მაგრამ ყმობით
არავენ დასჭიდებია, ჩემო ხელმწიფევე მაისის ა, ქორონიკონს უპყ.

თავში

ბატონი შვილი დავით გიბრძანებ დეკანოზის შვი-
ლო იოსებ! მერმეთ ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, რადგან ნე-
ტარსენებულის პაპის ჩვენის ოქმი აცხადებს, რომ ხიზანი ყოფილა და
მაგისი ყმა არა, ხელი უნდა აუმართო და სახასრთ იყოს. და თუ სა-
ხუთიანი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს და უსამართლოდ


არ წავართმევთ. აპრილის ლ, ქორონიკონს უპყ.

633

ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები
დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1985, გვ. 633. ამ გვერდზე არ არის ხსენება თავადი და-
ვით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის და მით უმეტეს იმისა, რომ მას
ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე (ვარ. იასე).

დანართი III

იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, ქართლში მცხოვრები აზნაური დავითიშვილები – „ამათნი შთამომავლობანი არიან თავადის დავითისშვილის მონათესავენი და მისვე ღროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულ“ [75, 5; 1]. 1783 წ. ტრაქტატს დართულ თავადთა და აზნაურთა ნუსხაში აღნიშნულია: „სახასო აზნაურნი ამას ქუშით დაიწერებიან“, მათ შორისაა „აზნაურნი დავითისშვილი“ [64, 485]. უნდა ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ეს მოსაზრება ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილების ნათესაობის შესახებ მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევას ემყარება. სინამდვილეში არავითარი ისტორიული ცნობა, რომ ისინი ერთმანეთის „მონათესავენი“ არიან, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არ დასტურდება. ამ პერიოდის, კერძოდ, XVIII საუკუნის საბუთებში არაერთი დავითიშვილი გვხვდება, რომელნიც სწორედ აზნაური დავითიშვილნი უნდა იყვნენ: ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ბერი და ლევანიკა დავითიშვილი [61, 507, 582] ან მათი მთელი შტო – 1728 წ. ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული „ბატონი“ დავით და მისი შვილები: იოთამი, იასე და ქრისტეფორე [23, 348]; 1800 წ. არზით, „დავითიშვილს ჩელტია იასეს“ ჰყავს შვილი გლახა [61, 633], რომელიც სხვა საბუთებშიც იხსენიება [61, 356, 369]. მათი შტო ასეთ სახეს იღებს:



ამდენად, ისინი აზნაური დავითიშვილები არიან და მათ თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან არაფერი აქვთ საერთო.

68

დ. ნინიძე. „აქა ამბავი თვალდამწვრიანთა“. თბ., 1999, გვ.68, საიდანაც ჩანს, რომ თვით დ. ნინიძე უარყოფს ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილთა ნათესაურ კავშირს და აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებულ აზნაურ დავითიშვილებს არაფერი აქვთ საერთო ბაგრატიონ-დავითიშვილებთან.

ღანართი IV

კუმსიევი	
359.	<p>ПРАПОРНИКЪ БЕЖАНЪ ДМИТРИЕВЪ. жена его Еоимія. сынь ихъ Александръ. дочери: Сидонія. Елисавета. Нина. Тамара. Пена.</p>
360.	<p>СОЛОМОНЪ ДМИТРИЕВЪ. жена его Софія. сынь ихъ Теймуразъ. дочь Ева.</p>
361.	<p>ЮСИФЪ ДМИТРИЕВЪ. жена его Дарія. сынь ихъ Дмитрій.</p>
362.	<p>ДАВИДЪ ПАНУНОВЪ. жена его Тамара. сынь ихъ Иванъ. дочери: Магдана. Маія.</p>
365.	<p>ВДОВА ГЛАХА, ЕЛИСАВЕТА. сыновья ея: Тато. Караманъ. Варвара. дочь жена Тато Еоимія.</p>
Давидовы	
364.	<p>ЯССЕ АСЛАМАЗОВЪ. жена его Марія. сынь ихъ Георгій. дочери: Меланія. Даремжана.</p>
363.	<p>КОЛЛЕЖСКІЙ СЕКРЕТАРЬ ЛУАРСАБЪ АСЛАМАЗОВЪ. жена его Еоимія.</p>
366.	<p>АСЛАМАЗЪ ИВАНОВЪ. жена его Екатерина.</p>

128

367.	<p>ЯССЕ ГОГІЕВЪ. жена его Маія. сынь ихъ Георгій. дочь Фекла.</p>
368.	<p>АНДРЕЙ ГОГІЕВЪ. жена его Нана.</p>
369.	<p>ВДОВА КАЙХОСРА ЯССЕВА, МАГДАНА. сынь ея Кайхосро.</p>
ურკმაზოვი	
370.	<p>БЕЖАНЪ РОСТОМОВЪ. жена его Шушана. сыновья ихъ: Урკмазъ. Ростомъ.</p>
Тавкеловы	
371.	<p>ИВАНЪ ЗУРАБОВЪ. жена его Исмарагда. сыновья ихъ: Георгій. Дмитрій. Нина. дочери: Софія. Дарія.</p>
372.	<p>КАРАМАНЪ ЗУРАБОВЪ. жена его Макрина. сынь ихъ Давидъ. дочери: Софія. Кекеლა. Галие.</p>
Цителовы	
375.	<p>ВДОВА ЛУАРСАБА СОЛОМОНОВА, МАІА. сыновья ея: Иосифъ. Андрей. Зурабъ. Николай. Григорій. дочери: Меланія. Нина.</p>

129

ზ. ჭუმბურიძის რედაქციით გამოცემული „ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“ (ფოტოტიპირი გამოცემა), თბ., 2005. გვ.128-129. ვხედავთ, რომ ამ გვერდებზე მოხსენიებულია აზნაურ დავითიშვილთა (Давидовы) და არა ბაგრატიონ-დავითიშვილთა მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები.

დანართი V

ქ. ეშვიკადაბაშო შანშე! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, მალშკრობდეს¹. მკათათვის 3, ქორონიკონს უპყ.

თავში

ქ. ეშვიკადაბაშო შანშე! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, მალშკრობდელი და წრეგანდელი ღალა უნდა გამოურთვა და მოაბარო. რაც სიაში მამული უწერია, ისიც უნდა მოაბარო.

და თუ სიტყვა აქვს, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. და თუ ეს სიტყუნა, ერთიორად ამ ღალას გამოვართმევთ და თეიმურაზს უცემთ. ივლისის ია, ქორონიკონს უპყ.

682. არზა დიმიტრი ციციშვილისა მამულის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

1800 წ. 18 ივლისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 805. დედანი. ქალაღი. 21,3×15 სმ. მხედრული.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის დავითის მალშკრობდელი ციციშვილის დიმიტრისა.

სურამს ერთი ვენახი ჩემგან მაქვს და ჩხეიძის ბუში გახლ- ჩემთან და ის ვენახი ჩემგან აქვს მიცემული. მანამდინ ის ჩხეიძის კიკოლ [ა] ცოცხალი გახლდათ, მანამდინ ჩემი ხელდებული გახლდათ. ახლა ის თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა და ერთი შვილი არჩა. აქამდინ მტყუვა — შენ გეახლებიო და ვენახს ნუ წამართმე- ახლა აღარ მეახლა, ვენახს რაღათ დავანებებ.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ. იასე მურვანის შვილზე დ ოქმი მიბოძოთ, ის ჩემი ვენახი მე დამანებოს. და თუ სიტყვა რამე, სამართალში მელაპარაკოს. და თუ ვენახზედ ხელს ვერ უბს. თითონ მეახლოს. ამისი ოქმი მბოძე. ივლისის იგ, ქორონი- კონს უპყ.

თავში

ქ. ბატონო აბაშიძე ვევეენ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ამისი საქმე რიგიანის საქმით თქვენ გაარიგეთ.

ივლისის იგ, ქორონიკონს უპყ.


დავით

¹ მალშკრობდეს.

ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1985, გვ. 663. აქ არა თუ ხსენება არ არის ბაგრატიონთაგან მომავალი რომელიმე აზნაური დავითიშვილის, არამედ ხსენებაც არ არის არცერთი დავითიშვილის და არც ბაგრატიონ-დავითიშვილის.

დახართი VI

Родословная и доказательства о образовании рода Давидовых.




1. {Рашиния ფორენი Давидовичი показана в списке,
2. {приложенном при трактате, заключенном в 1783г.
3. {Российским Императорским Двором, с Грузин-
4. {ским Царем Ираклием II.-
5. {Средлением Грузинского Дворянского Депутат-
- ского Собрания 19 февраля 1826г. роду Давидовых
- признана в дворянском достоинстве. Об утвер-
- ждении Димитрия Иакова сына Давидова в дво-
- рянском достоинстве и о включении его рода в пер-
- вую часть родословной книги. повелением изв. Пра-
- вительствующаго Сената указъ отъ 10 Июля
- 1828 года со № 4883.-
6. {родившихся: первый вь Декабре мѣсяцѣ 1834г., второй
7. {20 Марта 1857г. и третий 30 Декабра 1893г., сопри-
8. {ключены къ сему роду постановлениемъ Императорскаго
- {Дворянскаго Депутатскаго Собрания 31 Марта 1905 года.-

ცხა. ფონდი 213, ახანერი 1, საქმე 1990 „О признании вь дворянскомь достоинстве рода Ивана и Димитрия Давидовых“. ამ დახართით ილუსტრირებული, აზნაურ დავითიშვილთა ერთ-ერთი შტოს გენეალოგიური ფრაგმენტის მარჯვნივ ჩანანერიდან ჩანს, რომ 1783 წლის ტრაქტატს თანდართულ სიებში ჩამოთვლილ გვართა შორისაა აზნაური დავითიშვილი (რუსული ვარიანტით - დავიდოვი). ამ ჩანანერში აზნაურ დავითიშვილთა რაიმე ნათესაური კავშირი რომელიმე ბაგრატიონთან - არ არის ნახსენები.

დაწართი VII

Генералъ Иванъ Давидовичъ



Подписали: Генералъ Иванъ Давидовичъ, Димитрій Давидовичъ, Иванъ Давидовичъ, Андрей Давидовичъ, Марсѣ Давидовичъ.

Върученъ въ должностн. секретаря М. Сергеева

Подписали: Иванъ Давидовичъ, Димитрій Давидовичъ, Андрей Давидовичъ, Марсѣ Давидовичъ.

ცსა. ფონდი 213, ახანერი 1, საქმე 1990 „О признании въ дворянскомъ достоинстве рода Ивана и Димитрия Давидовыхъ“. აზნაურ ივანე (იოანე) და დიმიტრი დავითიშვილების (დავიდოვების) მიერ ხელმოწერილი გენეალოგიური ფრაგმენტი, რომელიც, სახელების მიხედვით, მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ი.პიჭიკაშვილის მიერ შედგენილი მე-16 გენეალოგიური ტაბულის ფრაგმენტს წიგნიდან "ბავრაციონები - საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია".

დანართი VIII

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34

E-mail: iurichikovani@gmail.com

№ 2 (202)

5 მაისი 2018 წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვთვლი თავს ვალდებულიად, შევეხო კიდევ ერთ უსიამო ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია ჩემს ყოფილ მოადგილე იოსებ ბიჭიკაშვილთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი, როგორც გენეალოგიის მკვლევარის მიერ შესწავლილი 110-ზე მეტი გვარადან ბაგრატიონები იყო ის ერთადერთი გვარი, რომლის გენეალოგიის შედგენაზეც ი.ბიჭიკაშვილი და მე მუდმივად ვთანამშრომლობდით 1993 წლიდან 2015 წლის აგვისტომდე. 1984-დან 1993 წლამდე და 2015 წლის აგვისტოს შემდეგ კი ამ გვარის გენეალოგიას სრულიად დამოუკიდებლად ვადგენდი და ახლაც ვადგენ. რაც შეეხება დანარჩენი გვარების გენეალოგიას, აქ ჩვენი თანამშრომლობა იყო მხოლოდ ეპიზოდური და ასეთ შემთხვევაშიც მისი მონაწილეობა ფიქსირდებოდა ყველა გამოცემაში. ბაგრატიონების გვართან დაკავშირებით ვენდობოდი ი.ბიჭიკაშვილის დასკვნებს, ვინაიდან სწორედ იგი ხელმძღვანელობდა „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიულ განყოფილებას და 1990-იანი წლებიდან იკვლევდა ამ გვარის ისტორია-გენეალოგიას. 2013 წელსაც ასე ვენდე მის ინფორმაციას აზნაურ დავითიშვილების თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან წარმომავლობის თაობაზე და დავეთანხმე. მაშინ „ბაგრატიონთა სახლის“ წდობით აღჭურვილი პირის, ამავე სახლის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ ბაგრატიონებისავე გვარის შესახებ ისტორიის კვლევაში ეჭვის შეტანა არც კი მიფიქრია, რომ არა გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანას წარმომავლობის შესახებ ისტორიული ცნობა (შედგენილი, ი.ბიჭიკაშვილისავე ინფორმაციით, მის მიერ), რომელიც აცდენილია რეალობას, რაც საარქივო მასალების კვლევის საფუძველზე დავადასტურე, შესაძლოა არც აზნაურ დავითიშვილების შესახებ მის მიერ გაკეთებული დასკვნა გადამმოწმობინა, მაგრამ გრიგოლ მალანას სახელზე გაცემულმა ცნობამ და მასზე დატანილი ინფორმაციის უსაფუძვლოდ მიზიძგა ამისკენ. გადამოწმების შესაძლებლობა კი მომცა იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ბაგრატიონები - საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“. აღნიშნული წიგნის თანდართული ტაბულებიდან მე-16 მთლიანად ეძღვნება აზნაურ დავითიშვილებს და აქ ისინი ტაბულის, კომენტარების და ბიბლიოგრაფიის დასათურებაშიც მოხსენიებულ არიან აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად (წიგნის 259-ე და 263-ე გვ.). ამას ი.ბიჭიკაშვილი ხსნის იმით, რომ ვინმე აზნაური იესე დავითიშვილი (ტაბულა 16-ში № 2/1), თითქოსდა, არის თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი. ამის დასტურად კი მითითებული აქვს წყაროები, ჩემი მხრიდან რომელთა შესწავლის შედეგიც ასეთია:

მტკიცებულადაა დასახელებული ოთხი წყაროდან ერთი არის ს.ბიჭიკაშვილის ხელნაწერი, დანარჩენი სამიდან კი ვერცერთი ვერ ასახელებს მოსაზრებას, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე, რომელიც, ი.ბიჭიკაშვილის მიერ ამ ნაშრომით შემოთავაზებული ტაბულა 16-ის თანახმად, სათავეს უნდა უდებდეს ამავე ტაბულაში აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილებად მოხსენიებულ პირთა მიერ წყებას (107 პიროვნებას).

მასასადამე, მხოლოდ იმ წყაროების საფუძველზე, რომელიც მოხმობილია ი.ბიჭიკაშვილის მიერ, ვერ დასტურდება მოსაზრება, რომ თავადს, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილს ჰყავდა ვაჟი, სახელად იესე. თუ ვერ მტკიცდება ტაბულა 16-ის პირველივე მონაცემი იმის შესახებ, რომ იესე დავითიშვილი (ტაბულაში № 2/1) არის თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილი, მასასადამე ვერც იმ დასკვნას გავაკეთებ, რომ ამ ტაბულაში შემავალი სხვა ფიგურანტები (თვით იესეს შთამომავლები: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ.) არიან თავადის, დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის შთამომავლები ანუ ბაგრატიონ-დავითიშვილები. ამდენად, ზემოთხსენებული წიგნის ავტორის მიერ, მითითებული წყაროების საფუძველზე, მე-16 ტაბულაში შეყვანილ პირთა მიკუთვნება ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულოსთან არ მიმართა მართებულად აღნიშნულ თემას, ანუ ამ სამი და ი.ბიჭიკაშვილის მიერ დასახელებული სხვა წყაროების შესწავლის შედეგებს, საისტორიო და საარქივო მონაცემების საილუსტრაციო ფოტოებთან ერთად, განვიხილავ ვრცლად ნაშრომში, რომელიც მალე გამოქვეყნდება.

ამდენად, დაფუძვი შეედომა, როდესაც გადამოწმებლად, გაუმართლებლად წინდაუხედავად ვენდე ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, რაც გამოცემებში ჩემი თანაავტორის, „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, ამავე სახლის (და არა მარტო მათ) მიერ ბაგრატიონთა გვარის ისტორია-გენეალოგიის ოფიციალურად აღიარებული მკვლევარის, ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ და დავეთანხმე მას. ვაღიარებ ჩემს მიუტყვევებელ შეცდომას და საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მენდო ამ საკითხში, ვუხდი ბოდიშს.

„ქართული გენეალოგიური

საზოგადოების“ თავმჯდომარე

ი. ბიჭიკაშვილი



მდიური ჩიქოვანი

განცხადება იმის თაობაზე, რომ დაკუთხვი მიუტყვევებელი შეცდომა, როდესაც გადაუმოწმებლად დავეთანხმე ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ბაგრატიონ-დავითიშვილებისგან აზნაურ დავითიშვილების წარმომავლობის შესახებ (ი.ჩ.).

დანართი IX

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34

E-mail: iurichikovani@gmail.com

№ 3(203)

5 მაისი 2018 წ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც ჩვენი საზოგადოების სახელით ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაციიდან გახდა ცნობილი, გაიზარდა ინტერესი ჩვენი საზოგადოების მიერ გაცემული დოკუმენტების, ცნობებისა თუ გენეალოგიური ფრაგმენტების მიმართ. ცხადია, ეს მხოლოდ მისასალმებელი ტენდენციაა, თუმცა, ამავდროულად მავანსაც გაუჩნდა მეტი მოტივაცია ჩვენი საქმიანობის კოპირების, თუ ჩვენი საზოგადოების სახელის ბოროტად გამოყენების. ერთი სიტყვით, ზოგჯერ ადგილი აქვს უმსგავსო ქმედებებს, რასაც ჩვენი საზოგადოება კატეგორიულად ემიჯნება.

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ შეიძლება გაჩენილიყო ჩემგან გადაუმოწმებელი, დაუსაბუთებელი ცნობები 2013 - 2015 წლებში, როდესაც, შესაძლოა, გარკვეულმა პირებმა საზოგადოების ადგილმდებარეობის შეცვლის პროცესით გამოწვეული შესუსტებული კონტროლით ბოროტად ისარგებლეს.

მაგალითად, ჩემთვის შემთხვევით გახდა ცნობილი ერთი ასეთი დოკუმენტის არსებობის შესახებ, რომლის შინაარსსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. აქედან გამომდინარე, არ ვარ დაზღვეული, რომ არ არის სხვა მსგავსი (შესაძლოა არა ერთი). ამიტომ, საზოგადოებაში გადავწყვიტეთ საჯარო გაგზავნა იმ ცნობების რეკვიზიტები, რომლებიც ნამდვილად ჩვენს მიერ არის გაცემული ამ პერიოდში; შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია თავად გადაამოწმოს, არის, თუ არა მის ხელთ არსებული დოკუმენტი ნამდვილი. აი იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა საფუძვლიანობაშიც, გადამოწმების შემდეგ, დავრწმუნდი:

ნუმერაცია – დათარიღება:

№171 (გაც. 19.07.2013); №172 (გაც. 21.12.2013); №173 (გაც. 01.03.2014); №174, №175 (გაც. 21.10.2014);
№176 (გაც. 24.10.2014); №177, №178, №179, №180, №181 (გაც. 03.11.2014); №182 (გაც. 17.02.2015);
№183 (გაც. 12.05.2015); №184 (გაც. 16.05.2015); №185, №186 (გაც. 31.10.2015); №187 (გაც. 10.11.2015);
(ცნობების ადრესატების ვინაობა დაცული და მითითებულია მხოლოდ საზოგადოების სარეგისტრაციო ჟურნალში)

ამრიგად, თუ თქვენს ხელთ არსებული ცნობა გაცემულია 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და არ ემთხვევა ზემოთმოყვანილ რეკვიზიტებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ, შეიძლება სრულიად სანდოდ გამოიყურებოდეს, ვერ გამოფრცხვანთ, რომ ის არ ასახავს რეალობას, ამიტომ გათავაზობთ მარტივ გამოსავალს:

ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ კიდევ ერთ პროექტს, რომლის ფარგლებში ყოველგვარი საფასურისა თუ დამატებითი სამეცნიერო კვლევის გარეშე, შევადარებთ თქვენს ხელთ არსებულ გენეალოგიურ ცნობას ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო მონაცემებს და დოკუმენტებს. ამიტომ, ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ამ განცხადების გამოქვეყნებამდე გაცემულ ცნობებს, ვთავაზობთ წარმოადგინოს იგი საზოგადოებაში ხელახალი რეგისტრაციისათვის.

ვალდებული ვართ გაუწყოთ: იმ შემთხვევაში, თუ ცნობას ამ ხელახალი დადასტურების გარეშე გამოიყენებთ, გამოაქვეყნებთ ან სხვა პირებს წარუდგენთ და იგი არ აღმოჩნდა ჩვენს მიერ გაცემული ანუ რეგისტრირებული ჩვენს ბაზაში, მაშინ ვერ უზრუნველყოფთ თქვენთვის ცნობის სისწორის დაცვას მესამე პირების წინაშე. სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ აქტიურად გამოიყენოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ეს დამატებითი პროცედურა.

„ქართული გენეალოგიური

საზოგადოების“ თავმჯდომარე

ი. ბიქვიანი



იური ჩიქვიანი

განცხადება იმის თაობაზე, რომ ეჭვქვეშ დგება ყველა იმ ცნობის რეალობის საკითხი, რომელიც გაიცა ჩემი სახელით 01.01.13 — 31.12.15 დროის პერიოდში და არ გაიარა ახალი რეგისტრაცია (ი.ჩ.).

სარჩევი

შესავალი.....	3
დავითიშვილთა და ბაგრატიონ-დავითიშვილთა შესახებ.....	6
ბოლოთქმა.....	17
დანართები.....	18



„ბამომცემლობა გრიფონი“
აკ. წერეთლის გამზ. №72;
ტელ.: (832) 2 355 360
ელ-ფოსტა: grifoni@inbox.ru



განმცემლობა გრიფონი

ISBN 978-9941-480-01-0



9 789941 480010